# საბრძოლო პოლიგონად ქცეული კარიერი

**ალიონი.** ორი წლის წინ თურქეთის ტერიტორიაზე, ძველ ტაო-კლარჯეთის მოსანახულებლად ვიყავით. ჭოროხის ხეობას მიუყვება თანამედროვე ავტომაგისტრალი უამრავი გვირაბითა და სხვა საგზაო ნაგებობით. იშხანის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე, ვნახეთ როგორ მოეხსნათ აქაურ მეგზევეებს უზარმაზი უნაყოფო კლდოვანი მთა. აქ მოპოვებულ წიაღისეული გზის გადაღმა ქვის სამტვრევ ქარხანაში მუშავდებოდა სხვადასხვა ფრაქციად, რომლითაც შემდეგ ასფალტს ამზადებდნენ და გზებს აშენებდნენ, . ჭოროხის ხეობასა და მის შენაკადებზე ქვიშა-ღორღის კარიერები არ შეგვხვედრია.

გურიაში გამავალი მდინარეების ხეობებს ათეული წლებია შესევიან ქვიშა-ღორღის მომპოვებელი კომპანიები. ახლახან, მდინარე სუფსის ხეობაში მომხდარიც საკმარისია იმის ასახსნელად, როცა კომპანია „ქიუ ემ სიმ“ ვითომდა „გასწორხაზოვნების“ მოტივით, ნაპირები არ დაუტოვა და ფაქტიურად ფსკერი ამოუღო მდინარე სუფსას ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათი-გულიანის გზის სუფსის ხიდის მიმდებარედ. კომპანიას წიაღის ეროვნული სააგენტოდან არანაირი ნებართვა არ ჰქონდა. არც გარემოს დაცვის შესაბამის სამსახურს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს არანაირი ზომები არ მიუღიათ ამ ბარბაროსული ქმედების შესაჩერებლად.

როგორც ვწერდით, ხელისუფლებამ ერთობლივი საწარმო „**POLAT YOL &MAPA**“ უფლება მისცა ზღვიდან 20 კილომეტრიან ზოლში, მდინარე ნატანებზე, ისტორიული ვაშნარის ციხე-ქალაქის მიდებარედ, ლიცენზიის გარეშეც მოიპოვოს წიაღი. ამისთვის 2020 წლის 4 სექტემბერს სასწრაფოდ შევიდა ცვლილებები 2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებაში „სასარგებლო წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“.

**კერძოდ: „დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა შავი ზღვის შესართავიდან 20 კლ მანძილზე პირდაპირი ხაზით“**

ცვლილება–„ **მითითებულ დიაპაზონში ინერტული მასალის მოპოვება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ მოპოვება წარმოებს ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან შავი ზღვის ნაპირების ( პლაჟების) აღდგენის მიზნით. მოპოვება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მასალა დასაწყობებულია“** აღნიშნულს ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია.

სასწრაფო წესით კანონის ცვლილებას წინ უსწრებდა, კომპანია „პოლატის” (წერილი 27. 08.2020 წ. დო-კუმენტის **N-TMO**/20/-0324), რომელიც გაეგზავნა საქარ-თველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. კომპანიამ დაიწუწუნა წიაღი არ მაქვს ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისთვისო.

გზა უნდა აშენდეს, და გამონაკლისი დაუშვეს, რომელსაც ხელს ამჟამინდელი პრემიერიც აწერს. მდინარე ნატანების აუზში, 20 კილომეტრიან ზოლში ულიცენზიოდ შევიდა „**POLAT YOL &MAPA**, რომელმაც იქ წიაღისეულის მოპოვების უფლება ქვემოიჯარე კომპანის გადასცა და ახლა ვხედავთ, როგორ ბარბაროსულად ექცევიან ისინი ხეობას.

ჩვენ დავუკავშირდით ქვემოიჯარე კომპანიის მენეჯერს **იაკობ ლექვინიძეს,** რომელ-

გვ-2


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10415) 14 თებერვალი, 2022 წ. ფასი 60 თეთრი.


## ისრაელის კომპანია NUF FILTRATION მაღალტექნოლოგიური,ინოვაციური მემბრანული ფილტრები გურიაში

**ალიონი.** საქართველოში და მათ შორის გურიის რეგიონში ორი წელია მიმდინარეობს საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლებში და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების ბავშვთა სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფას.

პროექტის ხელმძღვანელმა „საქართველო შალომ კლუბ-გურიას“ პრეზიდენტი ზაურ ოსეფაიშვილი ამ თემაზე გაზეთ „ალიონთას“ ესაუბრა:

– *„საქართველოს მთავრობის, საქსტატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევები გახდა საფუძველი „საქართველო შალომ კლუბ- გურიას“ პროექტისა - „სუფთა წყალი ბავშვებს“, რომელიც უკვე ორი წელია ხორციელდება გურიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში, როგორც საპილოტე პროექტი. პროექტის მიზანია სკოლებში და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, სადაც სასმელი წყალი დაბინძურებულია (ასევე პრევენციის მიზნით), ისრაელის კომპანიის,* ***NUF FILTRATION (www..nuffiltration.com)*** *მიერ, მაღალტექნოლოგიური ინოვაციური მემბრანული სასმელი წყლის გასაფილტრი დანადგარის* ***NUF****-250 და -500-ის მონტაჟი. ეს დანადგარები აღიარებულია გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.*

*პროექტის მხარდამჭერები არიან ისრაელის, სლოვაკეთის, იაპონიის საელჩოები, გაეროს ბავშვთა ფონდი* ***UNICEF*** *–ი, სამხარეო ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტის მერები. განსაკუთრებით მნიშვნელ-*

გვ-2

## „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა ჩოხატაურსა და ოზურგეთში ჩატარდა

**ალიონი.** მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 10 თებერვალს ჩოხატაურსა და ოზურგეთში მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში გაიმართა.

საჯარო განხილვის ორგანიზატორი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროა. „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტი სამინისტროს წარმომადგენელმა **გიორგი თევზაძემ** წარადგინა, რის შემდეგაც სიტყვით განმახორციელებელი კომპანიის „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის დირექტორი, **მიხეილ ნიბლაძე** გამოვიდა. პროექტის ტექნიკურმა მენეჯერმა **გიგლა სიხარულიძემ,** პროექტის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ისაუბრა; განხორციელებული კვლევები, გარემოსდაცვითი საკითხები და სოციალური პროგრამა კი, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ** მიმოიხილა.

ჩოხატაურში საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, **ზაალ მამალაძე,** საკრებულოს წევრები, მერიის აპარატის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე ჩოხატაურის და განსაკუთრებით საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სოფლების მოსახლეობა. საჯარო განხილვას ასევე, ესწრებოდნენ საგანმანათლებლო სექტორის წევრებიც.

ჩოხატაურში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოებამ მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს. აღინიშნა, რომ სამუშაოები, რომელიც კომპანიის მიერ ჩატარდა ერთი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი იყო წლის დასაწყისში არსებული მოსაზრებების და განწყობების ცვლილების კონტექსტში. კვლევები, რომელიც კომპანიამ განახორციელა საერთაშორისო დონის ექსპერტების ჩართულობით, პროექტის ტექნიკური პარამეტრების და მისი ადგილმდებარეობის ცვლილე-

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani15@gmail.com**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**ვიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# ოზურგეთის მერი 2022 წელს ოზურგეთში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

წყალმომარაგების ახალი სისტემები, საცხოვრისი პირობების გაუმჯობესება, გზების კაპიტალური რეაბილიტაცია და სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომაზე 16 პროექტი წარადგინა, რომელთა განხორციელება იწყება, ხოლო ნაწილი უკვე დაწყებულია და დაგეგმილ ვადებში დასრულდება.

– „პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით, „განახლებული რეგიონების პროგრამის“ ფარგლებში უკვე დავიწყეთ ოზურგეთის ცენტრალური პარკის რეკონსტრუქცია და სრული რეაბილიტაცია. მალე დასრულდება ყოფილი ფოსტის შენობის იერსახის მოწესრიგება და მიმდინარე წელს განახლდება ადმინისტრაციული შენობის ინფრასტრუქტურა. საპილოტე *რეგიონების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ფარგლებში ვიწყებთ დოლიძისა და ბოლქვაძის ქუჩების რეკონსტრუქციას და რეაბილიტაციას, სოფელ შრომაში ვიწყებთ საბავშვო ბაღის მშენებლობას, შედეგად ბავშვები უსაფრთხო და კეთილმოწყობილ შენობაში მიიღებენ შესაბამის მომსახურებას. მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, დაბა ურეკში დავიწყეთ 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა. სოფელ ნაგომარში ვიწყებთ ხანძრის შედეგად განადგურებული ინფრასტრუქტურის საბავშვო ბაღის, საექიმო ამბულატორიისა და ადმინისტრაციული ოფისის აღდგენას – ჯამში დაიხარჯება 300 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 300 000 ლარი იაპონიის მთავრობის გრანტიდან. პროგრამა „იყავი თანამმართველი“ – დასრულდება დაწყებული პროექტები და ასევე, გამოცხადდება ახალი საკონკურსო იდეების მიღება“–* განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

ოზურგეთის მერის განცხადებით, უახლოეს პერიოდში დასრულდება გზის ინფრასტრუქტურული განახლების სამუშაოები „ციხისფერდი-გურიანთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე დაიხარჯება 589 728 ლარი; შეკვეთილის საკურორტო ზონაში გზის რეაბილიტაციაზე ჯამში დაიხარჯება 665 360 ლარი; შეკვეთილის საკურორტო ზონაში (კაპროვანში) გზის რეაბილიტაციას 542 016 ლარი მოხმარდება, ხოლო სოფელ ხვარბეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება 411 720 ლარი. ასევე, დასრულდება ჯორჯიაშვილი ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია – 212 380 ლარი. განხორციელდება სოფელი დვაბზუს ცენტრიდან მაგისტრალურ გზასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტი – 701 178 ლარი. დაიწყება ქალაქ ოზურგეთში, ანასეულის უბანში მეცნიერების ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 1 212 340 ლარი. ტენდერი გამოცხადებულია და მარტის ბოლოს დაიწყება აქტიური სამშენებლო სამუშაოები“.

მერმა ყურადღება წყალმომარაგების მასშტაბურ პროექტებზეც გაამახვილა. „დასრულდება ზემო ნატანების *წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა – სტაბილური წყალმომარაგებით ისარგებლებს 700 ოჯახი. ასევე, წვერმაღალას და ზემო ურეკის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა, სადაც სტაბილური წყალმომარაგებით 400 ოჯახი ისარგებლებს. იწყება ცხემლისხიდის, დვაბზუს და მშვიდობაურის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა – წყალმომარაგებით ისარგებლებს 1200 ოჯახი. ასევე იწყება ქალაქ ოზურგეთის წყალმომარაგების ქსელის მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები და გამრიცხველიანება. პროექტირების პერიოდი არის 8 თვე, მშენებლობის პერიოდი 18 თვე, დასრულების სავარაუდო თარიღი 2024 წლის მაისი. პროექტის სავარაუდო ღირებულება 7 500 00 ლარი. პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი 24 საათიანი წყალმომარაგებით. სოფელ ლიხაურში დავასრულებთ ე.წ. ოქროს მუხუროს უბანში წყლის სისტემის მშენებლობას – ჯამში დაიხარჯება 274 174 ლარი; ძიმითში ასევე დავასრულებთ ე.წ. ნასაკირალის უბანში წყლის სისტემის მშენებლობას, რისთვისაც დაიხარჯება 52 146 ლარი“.*

ოზურგეთში ფარნავაზ მეფის ქუჩა 1 -ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის იერსახის განახლება დაიწყება. ეს არის საწყისი ეტაპი კორპუსების განახლების პროგრამის ფარგლებში, რისთვისაც 1 366 136 ლარი დაიხარჯება. მერის თქმით, აღნიშნული პროექტი მათი წინასაარჩევნო დაპირება და 8 პუნქტიანი გეგმის ნაწილი იყო. ავთანდილ თაალკვაძის განცხადებით, ამიერიდან სამუშაო სხდომები და საკითხები, რომელსაც განიხილავენ, ინტერნეტ მედიითაც გადაიცემა და მოქალაქეებს ექნებათ საშუალება თვალი ადევნონ, თუ რა საკითხები გამოდის მერიის სხდომებზე, რა დავალებები გაიცემა და რა იგეგმება ოზურგეთში.

# საბრძოლო პოლიგონად ქცეული კარიერი

მაც გვითხრა, რომ მას დრო არ ჰქონდა ჩვენთან სასუბროდ.შემდეგ კი ვერ დავუკავშირდით.(ლექვინიძის კომენტარს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** გაზეთ „ალიონთან“ თქვა:

– ნებისმიერ წიაღის მომპოვებელ კარიერულ წარმოებას ლიცენზიით თუ ულიცენზიოთ სჭირდება შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვა და წარმოების გეგმა, ასევე ადგილობრივი, მუნიციპალიტეტის ნებართვები.

რატომაა ნებადართული გარემოსდაცვითი კანონების უხეში დარღვევა?

მდინარეების კალაპოტის შეცვლა, დაღრმავება, კასკადების მოწყობა, უკონტროლო ტაციობა? რადგან მთავრობის მიერაა ნებართვა გაცემული....გამოდის ყველა კანონმდებლობა უგულველყოფილია. თუ არ შეიცვალა მსგავსი იგნორი კანონებისა, ხელში შეგვრჩება ველური კაპიტალიზმი და აოხრებული ხეობები.

მდინარე სუფსის აუზის აოხრების შემდეგ ქვა-ღორღის მომპოვებელები ახლა მდინარე ნატანების ხეობას საბოლოო განაჩენს გამოუტანენ.

# ისრაელის კომპანია NUF FILTRATION მაღალტექნოლოგიური,ინოვაციური მემბრანული ფილტრები გურიაში

*ოვანია ამ მხრივ, გურიის გუბერნატორის გიორგი ურუშაძის, და მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის, ძალისხმევა.*

*ამჟამად ისრაელიდან შემოტანილია და უკვე დამონტაჟებულია სასმელი წყლის 25 გასაფილტრი დანადგარი, რომელიც დაიდგა გურიის, სამეგრელოს აჭარის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის რეგიონების მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში. აქედან გურიაში დამონტაჟდა ათ საჯარო სკოლაში.*

*გურიის გუბერნატორის გიორგი ურუშაძის, საქართველოს პარლამენტის წევრის, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის და ისრაელის ელჩის რან გიდორის შეხვედრის დროს, გამოიკვეთა ფილტრების საჭიროება გურიის კიდევ 5 სკოლაში და ასევე საბავშვო ბაღებში, სადაც სასმელი წყლის გაფილტვრის საჭიროება იდგა.*

*ისრაელის საელჩოს თანადგომით და გაეროს ბავშვთა ფონდ ნიცეფ - ის მხარდაჭერით, ეს საკითხი, წარმატებით გადაწყდა და დანადგარები დაიდგა გურიის კიდევ 5 საჯარო სკოლაში.*

*რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, გურიის გუბერნატორის გიორგი ურუშაძის, სამხარეო ადმინისტრაციის, მაჟორიტარ დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის და სამივე მუნიციპალიტეტის მერების მხარდაჭერით, „საქართველო შალომ კლუბ- გურიამ“ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მიმდინარე წელს გურიის 38 საბავშვო ბაღში, სადაც იგივე პრობლემებია, დამონტაჟდება ისრაელის სასმელი წყლის გასაფილტრი დანადგარი **NUF** 500. აქედან ჩოხატაურში – 11, ოზურგეთში – 18, ლანჩხუთში - 9.*

*„საქართველო შალომ კლუბი-გურია“ მადლობა უხდის ყველას, ვინც ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას უწყობს ხელს და ზრუნავს ბავშვთა ჯანმრთელობისთვის. ერთობლივი თანადგომის გარეშე, ეს პროექტი წარმატებული ვერ იქნეოდა.*

*ამჟამად კვლავ გრძელდება მუშაობა , თუ კიდევ აღმოჩნდება პრობლემური სკოლები, საბავშო ბაღები ან სხვა დაწესებულებები, ჩვენ მზად ვართ ერთობლივი თანამშრომლობით გადავჭრათ იგი,–* დასძინა ზაურ ოსეფაიშვილმა.

# „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა ჩოხატაურსა და ოზურგეთში ჩატარდა

ბა, მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივებისთვის პროექტის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო განხილვა დაგეგმილ განხილვას ესწრებოდნენ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** მერიის აპარატის თანამშრომლები, არასამთავრობო სექტორის, მედიის, ბიზნესის წარმომადგენლები, ოზურგეთის და განსაკუთრებით პროექტის მიმდებარედ არსებული სოფლების მოსახლეობა მათ შორის სკოლისა და ბაღის პედაგოგები.

განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპანიამ დიდი შრომა გასწია მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან მუშაობისა და ინფორმაციის მიწოდების კუთხით, რათა არსებული საჭიროებების მიხედვით შექმნილიყო სოციალური პროგრამა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ პროექტში შეიცვალა და გაუმჯობესდა ტექნიკური პარამეტრები, მნიშვნელოვნად შემცირდა შეგუბების ფართობი, უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიე-ბები კი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანს.

განხილვაზე საიას ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ** მადლობა გადაუხადა კომპანიას საჯაროობისათვის, მაღალკვალიფიციური ექსპერტების ჩართულობისათვის, არასამთავრობო სექტორის წინადადებების გათვალისწინებისთვის, რაც მისი თქმით სამაგალითო უნდა გახდეს სხვა კომპანიებისათვის. იგი ასევე დაინტერესდა რამდენად იყო გზშ-ს პროექტში გათვალისწინებული ბრიტანელი ექსპერტის ნიკოლა ფოლკსის რეკომენდაციები.

**ნიკოლა ფოლკსი** გურიაში გამართულ შეხვედრებს ესწრეობოდა და მან ისაუბრა საკონსულტაციო კომპანიის **SLR** -ის მიერ ჰესის საპროექტო არეალში განხორციელებული კვლევების შესახებ, რაც წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში სრულადაა ასახული.

ოზურგეთში შეხვედრაზე გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დაფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია ოპონირებას უწევდა „ბახვი1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტს, მათი შენიშვნები და წინადადებები ქვეყნდებოდა მედიაში, „ეკოს“ წინადადება ბიომრავალფეროვნების კვლევასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ იქნა გათვალისწინებული. ამჟამად აქვს რამდენიმე კითხვა „გზშ“-ს პროექტის გარშემო, რომელსაც უახლოეს ხანში წერილობით მიაწვდის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საჯარო განხილვაზე დამსწრე მთისპირის თემის სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს პროექტს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გზშ-ს ანგარიში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაბარდა 2021 წლის 20 დეკემბერს და სამინისტროს ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2021 წლის 23 დეკემბერს.

# ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროგრამა სტარტაპებისთვის გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის - **SECTORs** ფარგლებში, ცხადდება სტარტაპ გრანტების კონკურსი გურიის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონებში. პროექტს ახორციელებს ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ასოციაცია „ათინათთან“ პარტნორობით.

**პროექტის შესახებ:**

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებობების გაუმჯობესებას სექტორული პარტნიორობის წახალისების, სამეწარმეო განათლების შეთავაზებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით, რათა წვლილი შევიტანოთ პროექტის სამიზნე რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში. სამიზნე რეგიონებია: გურია, აჭარა, სამეგრელო.

**საგრანტო პროგრამის მიზანი:**

სამიზნე ჯგუფის წევრთა ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა.

**სამიზნე მუნიციპალიტეტები:**

**აჭარა** - ბათუმი, ქედა, ქობულეთი;

**სამეგრელო** - ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი;

**გურია** - ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი.

***საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება:***

საშუალო განათლების მქონე 35 წლამდე ახალგაზრდები, რომლებმაც ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ვერ შეძლეს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღება და მიეკუთვნებიან რომელიმე მოწყვლად კატეგორიას (სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფნი ან დაბალშემოსავლიანი ოჯახები, ყოფილი მიგრანტი, ყოფილი პატიმარი ან პრობაციონერი და ა.შ.)

განათლების მიღმა მყოფი 35 წლამდე ახალგაზრდები - არასრული საშუალო განათლების მქონენი ან რომლებმაც მიატოვეს სკოლა საბაზო საფეხურზე

უმაღლესი განათლების მქონე 35 წლამდე სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდები- დაბალშემოსავლიანი ოჯახის წევრი

ქალები - ეკონომიკური და სოციალური სირთულეების წინაშე მდგომნი (ასაკი შეუზღუდავია)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონდე პირები

იძულებით გადაადგილებული პირები

ადამიანები, რომლებმაც სამსახური და შემოსავალი დაკარგეს კოვიდ 19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის შედეგად

**კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება:**

პრობლემური საკრედიტო ისტორიის მქონე პირებს

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაფინანსების მიმღებ პირებს

რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს

პირებს, რომელთა მიერ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, დატვირთულია იპოთეკით ან/და ადევს ყადაღა

პირებს, რომელთა მიერ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) რომელზეც უნდა განხორციელდეს გრანტით გათვალისწინებული აქტივობები, არ არის მის საკუთრებაში (კონკურსის ფარგლებში განიხილება მხოლოდ ის ობიექტი, რომელზეც რეგისტრირებულია გრძელვადიანი იჯარა).

**საგრანტო დაფინანსების პრინციპი:**

საგრანტო კონურსის ფარგლებში დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 500 ევროს, ხოლო მაქსიმალური 5000 ევროს

საგრანტო დაფინანსება ხორციელდება თანამონაწილეობის პრინციპით და განმცხადებლის წილი უნდა შეადგენდეს განაცხადის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 10%-ს.

**საგრანტო კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილიეთ, შემდეგ მისამართზე:**

**https://bit.ly/3304jpL**

საპროექტო იდეის წარდგენა შესაძლებელია ორი ფორმით: ელექტრონული და მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით.

ელექტრონულად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია:

**გურია:**
**ici.info.02@gmail.com**
საკონტაქტო პირი: იოსებ წიკლაური, 555233322

**აჭარა:**
**grants@iod.ge**
საკონტაქტო პირი: ქეთი ლომაძე, 558 48 49 85

**სამეგრელო:**
**office@atinati.org**
საკონტაქტო პირი: ხათუნა გაღელია, 571 315 398

ელ. ფოსტაზე განაცხადის წარდ-გენისას აუცილებელია განმცხადებელმა თემის ველში მიეთითოს **სტარტაპ 2022**. განა-ცხადის ამ ფორმით წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელი ღებულობს განაცხადის მიღების დასტურს. ელ. ფოსტის მეშვეობით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლ-ოდ ერთი საფოსტო გზავნილით.

მატერიალური ფორმით განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება შემდეგ მისმართზე:

**გურია:**
ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტი, ქ.ოზურგეთი, რუსთაველის №4

**აჭარა:**
დემოკრატიის ინსტიტუტი, ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის №107

**სამეგრელო:**
ასოციაცია ათინათი, ქ. ზუგდიდი, რუსთაველის №94

საგრანტო იდეის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:**https://bit.ly/3t8TZ9v**

საპროექტო იდეის წარდგენის ბოლო ვადაა **2022 წლის 25 თებერვალი.**

# „ჩემი ლამაზი სოფელი“

**ნოდარ თალაკვაძე** 90 წლისაა. დაიბადა სოფელ მთისპირში (უკანავა, თაფურიათი). ათეული წლების მანძილზე იგი მუშაობდა მთისპირის კოლმეურნეობაში ბრიგადირად. მეწყერული თუ სხვა პრობლემების გამო მას რამდენჯერმე მოუწია სოფლის ტერიტორიაზე საცხოვრისის შეცვლა, თუმცა მეწყერმა საბოლოოდ აიძულა დაეტოვებინა სოფელი და დასახლდა სოფელ ბოხვაურში.

ნოდარ თალაკვაძე არაერთი მოგონების ავტორია, რომელიც პერიოდულად იბეჭდებოდა გაზეთ „ალიონში“. 2013 წელს გამოსცა ლექსების კრებული, ხოლო მოგონებების წიგნის „ჩემი ლამაზი სოფელი“სასიგნალო ეგზემპლარი ამჟამად გამოიცა, რომლიდანაც საინტერესო ამონარიდებს შემოგთავაზებთ:



მთისპირის თემში შედიოდა სოფელი ვანისქედი, რომლის შემადგენლობაში იყო პატარა კუთხეები: უკანავა, თაფურიათი, შუა ღელა, დაბლა უკანავა, დელემური, ლილოსქედი (ფაუსტი და სერგო კვარაცხელიების ორი ოჯახი); ჭელიძეების უბანი. აქ ასევე ცხოვრობდნენ: სირაძეები, კილურაძეები, ჩხიკვაძეები, ლომჯარია, ჟღენტი, ვაშალომიძეები, სეფერთელაძეები, ნიკოლაიშვილები (დაბლა ვანისქედი), წიტაიშვილები, მახარაძეები, ანდღულაძეები, ნემსაძეები. ამ დასახლების საზღვარი ასათიანების და თავბერიძეების ადგილებზე და ონისიმეს გორაზე იყო.

მთისპირ-ვანისქედის უბნები; ოქროსქედი: – (მარიამას გორა). თალაკვაძეები, მჟავანაძეები, მეგრელაძეები, ბერაძეები, გაგუები, ანდღულაძეები, ჩავლეიშვილები, **ჯინჭარაძეები,** დოლიძეები, ნაჭყებიები, ევგენიძეები, სარიშვილები, სურგულაძეები, მამეიშვილები, ერქომაიშვილები, ჟღენტები, წყავზარაძეები, ჩხაიძეები, ინწკირველები, ჯაველიები, გუჯაბიძეები, ასათიანები, თავბერიძეები. კოწია ვასაძისა და ონისიმე თალაკვაძის ოჯახები იყო ვანისქედ-მთისპირის საზღვარი.

ამ კომპაქტურად დასახლებულ უბნებში, როგორც ვანისქედში, ისე მთისპირში უამრავი სხვა გვარის ხალხიც იყო დასახლებული. ზოგი ადგილგამონაცვალი და ზოგიც ჩასიძებული.

**მარცხნიდან (სხედან) ლასიონ, სილევან თალაკვაძეები, ლადო დოლიძე; (დგანან): მიშა ნიკოლაიშვილი, ტიხონ ნიკოლაიშვილი, კოლია ნემსაძე. (60-იანი წლები);**

## ციხის უბანი

ციხის უბანი ცალკე უბანი იყო წყალგაღმა –ეს ულამაზესი ადგილი იყო, ციხის ჭალებსა და ვაკე ადგილებზე განთავსებული. ამ უბანს მთისპირიდან მდინარე ბახვისწყალი ჰყოფდა. აქ ერთად ცხოვრობდნენ თალაკვაძეები, მათ შორის სასულიერო პირებიც: ექვთიმეს, იაკინთეს, ნესტორის, გიორგის, გიგოს, თედორესა და თადეოზის ოჯახები; სიამაშვილები – სევასტი, მოსე, პოლეაქტორ, დავით (დათიკო), ტიხონ, ამბერკი, ანტონინა, ჟენია, საყვალა, არსენი, სამსონი –ივანათა, ამათი ძმა (იგი ომის დროს გარდაიცვალა). აქვე ცხოვრობდნენ ალბათ რვაასიან წლებში ჩამოსახლებული ბერძნები (რამდენიმე ოჯახი, ხუთი თუ ექვსი) კომუშოვები, კასანჯირები, რომლებიც დიდი სამამულო ომის დროს შუა აზიაში გადაასახლეს, თუმცა ძირითადში მეუღლეები და შვილები აქ დაატოვებინეს მეზობლებმა, რადგან ქართველები იყვნენ. ძირითადად კი შუამდგომელი ფრიდონ ნიკოლოზის ძე თალაკვაძე გახლდათ, იგი მაშინ სამამულო ომიდან დაჭრილი ჩამოვიდა (თუ არ ვცდები, 1943 წელი იყო).

ციხის უბანში ყველგან იყო სხვადასხვა ჯიშის ხეხილი და ვაზი. მთავარი მაინც, მათ თვალწინ აღმართული თამარის ციხე იყო. აქვე იყო გოგირდის აბანო, სადაც პატარა სახლი იყო აგებული. ხალხი საიდან არ მოდიოდა სამკურნალოდ. ზაფხულობით ზოგი იქვე ჩრდილში ტალახს წაისვამდა და ელოდებოდა გაშრობას, რის შემდეგაც იმავე გოგირდიანი წყლით ჩამოიბანდა ტანს. იქაურობას „გოლიათაურს“ ეძახდნენ. გზა იყო საურმე და მიდიოდნენ ურმით, ცხენით. ზოგს წყალი ჭურჭლით მიჰქონდა და სახლში ვიდრდნენ.

## თიხა

გასული საუკუნის 40-იან წლებში (1946-1947 წ.წ.) დიდმა გეოლოგმა გიორგი თვალჭრელიძემ ოზურგეთში ნახა, რომ გურული ქალები (მთიპირელები, ვანისქედელები) ხელით დაგუნდავებულ თიხას ჰყიდნენ – როგორც თავის სარჩენ საშუალებას. რეცეპტი ასეთი იყო: როცა გაშრებოდა ეს გუნდა, ჩაფშვნიდნენ ჭიქაში ან სხვა ჭურჭელში, დაასხამდნენ ცოტა ძმარს და დაიბანდნენ თავს. იგი უნაზესად არბილებდა თმას და ბრწყინვალებას მატებდა. დაინტერესდა ეს დიდი კაცი და შეიქმნა საძიებო გეოლოგიური ჯგუფი. გაიყვანეს მიწისქვეშა შახტები, ამოთხარეს ჭები და გააკეთეს ჭრილები. დასაქმდა სოფლის ახალგაზრდობა და ზოგი სპეციალისტი, სადაც დიდი ანაზღაურება იყო.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, მაგრამ დაირღვა ის სილამაზე და საუკენეების მანძილზე ნაშენები ოჯახები აასახლეს. ისინი გაიფანტნენ და სხვადასხვა ადგილზე დასახლდნენ. კარგი დღე მის მიმდებარე მთისპირის ცენტრსაც არ დასდგომია. აქ შემდეგ გაიხსნა კარიერი, უამრავი ტექნიკა და მოწყობილობა იქნა მოზიდული, დიდი ტევადობის მანქანები – „ბელაზები“, „კრაზები,“ პატარა თვითმცლელებიც. აქ ამოღებულ თიხას ოზურგეთში გახსნილ ქარხანაშიც ეზიდებოდნენ, იყო ლაბორატორიები – ადგილზეც და ოზურგეთშიც.

მთისპირში ლაბორატორიაში მუშაობდნენ: ქალბატონი ლუიზა ნაჭყებია (დავით შარაშიძის მეუღლე), ნარიგული თალაკვაძე, ინეზა გუჯაბიძე, ზოია ინწკირველი. ოზურგეთის ლაბორატორიაში ზაირა სარჯველაძე (სკამკოჩაიშვილის ქალი) და სხვები.

ასეთი თიხა ამერიკის ფლორიდაში მოიპოვებოდა თურმე და აქაც ერთხანს „ფლორედინს“ ეძახდნენ. მახსოვს, ომის შემდგომი პერიოდი, 13-14 წლის ვიქნებოდი ალბათ, ჯამჭურჭელი არ იშოვებოდა და ოზურგეთში (მახარაძეში) მინი ფაბრიკაში დაიწყეს თიხის ჯამებისა და კურუშკების (ფინჯნების) დამზადება, აგრეთვე ელექტროსადენებისათვის საჭირო, ელ-ბოძებზე და სახლის შიგნით გაყვანილობისათვის, თიხის ელექტრო გაუმტარი იზოლატორების –„როზედკების“დამზადება. შემდგომ, როცა თიხას სხავადასხვა დანიშნულება მიეცა, (ქალაქ ოზურგეთში აშენდა თიხის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც უამრავი ადამიანი დასაქმდა), იგი ტოლიატის მანქანათმშენებლობის ქარხანაში იგზავნებოდა, ასევე ნავთობჭაბურღილებისათვის. იგი იგზავნებოდა ასუანის ცნობილი კაშხალის მშენებლობაზე. ადგილზე დაიწყეს პარფიუმერიის ე.წ. „მაზების“ დამზადება, რომელიც ჩვენთან იყიდებოდა.

ვწერდი, რომ კარგი დღე არც მდინარე ბახვისწყლის გამოღმა ნაპირსაც არ დასდგომია, რადგან, კარიერში ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები მიდიოდა მკვრივი ქანების გასახსნელად, ზოგჯერ, უფრო ხშირადაც ორჯერ, უფრო მეტი ძალით აფეთქებდნენ, (დასაშვებზე მეტი რაოდენობით), რომელმაც ნელ-ნელა ჩვენი ქვიანი ზედაპირის მქონე (მაგრამ ალბათ მიწის სიღრმეში ისევე მცოცავი თეთრი თიხა იყო განლაგებული) მიწა შეარყია, ჯერ ჭურები დახეთქა და შემდეგ მეწყერი გამოიწვია, რომელმაც 1989 წლის 28 ნოემბერს ჩემი ახლად აგებული სახლი წიაღო.

მაშინ დიდი პიროვნება, ნიკოლოზ ცხაკაია იყო საქართველოს „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორი, ხოლო ადგილზე ცხონებული თეიმურაზ ქილიფთარი. შეგვამოწმეს, დაგვეხმარნენ, სანახევროდ დანგრეული სახლი დავშალეთ და სოფელ ბოხვაურში დავსახლდით. ასე მოიქცა ჩვენი მეზობლების უმეტესობა.(გამოიყო სპეციალური კომისია ოჯახების აღსაწერად დაზიანების სიძლიერის მიხედვით).

ვინც მაღაროთა სამმართველოს კარიერის გახსნისათვის აასახლეს, იმათ დიდი თანხა გადაუხადეს. ან რა თანხად ღირს შენი მშობლიური მიწის მიტოვება – სადაც შენი წინაპრების სულია.

## თაფურიათი (წისქვილები)

1931 წლის 22 ოქტომბერს (მწიფობისთვე) ვარ დაბადებული პატარა კუთხეში, თაფურიათში (სათაფლე ადგილს ნიშნავს, ლამაზ გორაკებზეა პატარ-პატარა ვაკე ადგილებით). თალაკვაძეების მამული იყო იქ და შემდგომ ის ხალხი, რომლებიც ვანისქედის შემოგარენში ცხოვრობდნენ, ტყის პირას დაიდეს მეორე ბინა, იმიტომ რომ ტყე მდიდარია –ტყე გაკაფეს, გაწმინდეს შესაფერისი ადგილები, სადაც სიმინდს, ლობიოსა და კარტოფილს მოიწევდნენ. გააშენეს ვენახი, დარგეს ნიგვზები, ააგეს წიქვილები.

მდინარე ბახვისწყალზე, ჩემს ბაბუას ონისიმე თალაკვაძეს ორდოლაბიანი წისქვილი ჰქონდა, აგრეთვე დიდი ფიცრული სახლი, ღამის სათევად და ასევე წისქვილის მოსავლელად. ამასთანავე ჰქონდა სიმინდის ხელით საფშვნელი მოწყობილობა.

მინდა აღვნიშნო, ხალხმა რომლებმაც ტყე საყანედ და ლობიოს მოსაყვანად გაკაფეს, შიგ ნალიები ჩადგეს იქ ინახავდნენ გარჩეულ სიმინდს გაშრობამდე. როცა შინ წამოიღებდნენ, ბაბუა ონისიმესთან ჩერდებოდნენ და სიმინდს აფქვავდნენ. წყალს გამოღმა ივანე ვაშალომიძეს ჰქონდა წისქვილი. კიდევ იქამდე, პატარა ოჩხამურაზე მარკოზ კიღურაძეს, და ხენჩელაზე – ჭელიძეების უბანში – ესე ვაშალომიძეს, მთისპირში – გუჯაბიძეებს, მთისპირის შემოსასვლელში – აბულაძეებს.. ამ ჭალას ახლა აბულაძის მერეს ეძახიან.

თაფურიათში გასასვლელი ხის პატარა ხიდი იყო ბახვისწყალზე, რომელიც ადიდებულ მდინარეს მიჰქონდა და ხშირად სჭირდებოდა შეცვლა. როცა ადიდებული მდინარე წისქვილების სათავნებს მოშლიდა, მთელი საფქვავი ესე ვაშალომიძის პატარა წისქვილში მიჰქონდათ ხენჩელაზე.

ღომის მოყვანა, მე მახსოვს რომ, თითქმის მივიწყებული იყო. მას საკვებად არა, მაგრამ წიწილებისთვის თესდნენ ზოგიერთები. ხალხის ძირითად საკვებს სიმინდი, ლობიო და სოიო შეადგენდა.

შემოდგომის მიწურულს, მთა რომ დაიცლებოდა, ჩვენი ოჯახის ახლობელი, დურსუნ ჭაღალიძე ხან კარაქს, ხან ჩეჩილ ყველს და ხან ყურუთას მოგვიტანდა. ჩამორეკავდა დასაკლავ პირუტყვს და თანდათანობით სოფლის ცენტრში ყიდდა, ზოგს ნისიად, ზოგს ნაღდზე. დურსუნს 16-17 წლის ვაჟი ახლდა –ჯემალი, მე რომ 7 წლის ვიყავი კისერზე შესმულს მატარებდა. წამოვედით მე და ჯემალა წისქვილთან. წყლის არხია 1,5 მეტრი სიგანის.გამოიქცა ჯემალი და გადახტა არხზე. გამოვიქეცი მეც და გადახტომის ნაცვლად ჩავვარდი წყალში. მიმათრევს წყალი წისქვილისაკენ. გადმოხტა ჯემალი წყალში, შემისვა ზურგზე და სველი, შიშით გულგახეთქილი მიმყვანა დედასთან. რა დამავიწყებს, სიკვდილს გადამარჩინა...

## ბახმაროს

მამაჩემი ბახმაროში ყავარს რომ ხდიდა,(ყავარი ნაძვის ხისგან მზადდება, სისქით იხდება, გურიის მოსახლეობის ნახევარზე მეტს სახლები ყავრით ჰქონდა დახურული), მთელი ზაფხული მოდიოდნენ ბიჭები გადრეკილის იელებიდან (იელა დასახლებული პატარა ადგილებია), ანდა ზოტიყელიდან. საღამოს ლამპარს ანთებდნენ და იყო ერთი სიმღერა და ცეკვა-თამაში. ხალხი ერთმანეთთან ძმობდა და მეგობრობდა. გურულები და აჭარლები ერთი ოჯახის წევრებივით იყვნენ ერთმანეთთან. ერთად ვმღეროდით და თუ რამეს ვიშოვიდით, ერთად ვიყოფდით.

ჩვენი სოფელი, განსაკუთრებით უკანაველები და ვანისქედელები, როგორც კი შინაურ საქმეს მიათავქუდებდნენ, დედიან ბუდიანად აიყრებოდნენ, გაირეკავდნენ შინაურ პირუტყვს: ძროხას, თხას, ღორსაც, ხშირად ვისაც შეეძლო ინდაურის ჭუკებსაც და მივდიოდით ბახმაროზე. იქ ერთ თვეს, ზოგს თუ ამინდი მისცემდა მეტ ხანსაც რჩებოდნენ. ბარში მხოლოდ მოხუცები რჩებოდნენ, ან ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ომგადახდილი ასკანელი კაცი, დიდი მეფუტკრე ვახტანგ ლომინაძე ფუტკარს ამოიყვანდა. მისი პატარა ბროშურაც კი იყო –„მეფუტკრე ვახტანგი.“

ინდაურები ბუღლავას და ხაბუდრაკას (ერთწლიანი მცენარეებია) ფოთლებს პატარა ჭიამაიასავით მაგვარ „ბობლებთან“ (მწერებთან) ერთად მიირთმევდნენ. შემოდგომაზე დასუქებულები ჩამოჭყავდათ ბარში.

თითქმის ყველას ჰქონდა პატარა ბახმაროში და ჩადრეკილში თავისი სახლი. ვისაც როგორ შეეძლო, ისე აშენებდნენ. იყო იქ სავაჭროებიც, ასევე პურის საცხობიც. იქვე იყო თხის, ცხენების და მესაქონლეობის ფერმები და კარვები: მთისპირის, ჯაროსნაკარვალზე ვანისქედის, სერგო კავარაცხელიას სახლში; ბასილეთის, ქვენობნის, ბუკნარის, გულიანის, მზიანის და ვაკიჯვრის. იმას იქით (მზის ჩასასვლელი გორა) მხოლოდ მოყორვილზე თუ გარეკავდნენ, თორემ კურორტი (ომამდე და 50-იან წლებშიც) შემოღობილი იყო. შიგ მოხვედრილ საქონელს დაიჭერდნენ ამ საქმისთვის გამოყოფილი ხალხი და იქვე ჩიხში ჩაყრიდნენ და სანამ ჯარიმას არ გადაგახდევინებდნენ არ გამოგატანდნენ, თუგინდ ერთი კვირა

გვ-5

# „ჩემი ლამაზი სოფელი“

ყოფილიყო შიგ...

გზა ბახმაროსაკენ ვანისქედიდან იწყებოდა და რა თქმა უნდა უკანავადანაც, მაგრამ ვანისქედი ერთგვარი თავმოყრის ადგილი (ბირჟა) იყო. იქ იყრიდნენ თავს ლანჩხუთიდან, ფოთიდან, ოზურგეთის ნაწილი, ნაგომრიდან და სუფსის გაღმა სოფლებიდან: ძიმითი, მამათი და რა თქმა უნდა ადგილობრივები.

ვანისქედში ამოდიოდნენ ცხენებით, ურმით. თუ ვინმეს ხელეწიფებოდა სატვირთო ავტომანქანებით, ე.წ. „პოლტორკებით.“ აქ მათ დახვდებოდნენ ცხენოსნები, რომლებსაც ჩალანდრებს (ჩალვადარი) ეძახდნენ, ესენი იყვნენ ცოცხალი „ტაქსები,“მოურიგდებოდნენ მეცხენეს. ბავშვიანს სხვა ფასი ჰქონდა, იმიტომ, რომ სადაც სახიფათო ადგილები იყო, ბავშვი სულ საპალნეში უნდა ყოფილიყო ჩამჯდარი – ან ფეხმძიმე ქალი. ერთი სიტყვით, იყო მორიგება და ვაჭრობა.

იმ ადგილას, სადაც ეს ხდებოდა, იდგა ჩემი მეუღლის მამის, ბატონი მიხაკო ანტონის ძე წულაძის სამჭედლო, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ცხენების ნალით დაჭედვაზე, სამუშაო იარაღის მოპარვასა და თუგინდ ახლის გაკეთებაზე. იმ ხანად ქარხნული წესით დამზადებულს ნაკლებად ნახავდით, იქვე პატარა ბიჭებს მინი „ბუტკები“ ჰქონდათ გამართული, ყიდდნენ ბალს, საადრეო მსხალს,მწვანე ბალახს ცხენებისათვის კონებად, რომლებსაც მგზავრები ყიდულობდნენ. ჩალვადრები ბახმაროდან აქეთ ბარში წამოსაღებ ბარგს ეძებდნენ, რაც ძირითადად ყავარი იყო. ზოგი ყიდულობდა, ზოგის ახლობელი იყო , იქ რომელიც ყავარს ხდიდა – და საერთოდ, არც ისე იოლი იყო ყავრის წამოღება უბილეთოდ; ვინც ხდიდა ყავარს, იმას სპეციალური ნებართვა ჰქონდა სატყეოდან, რომელიც დიდ ბახმაროში ფუნქციონირებდა. დირექტორი მახსოვს, ტანად პატარა, მაგრამ ყველასგან პატივსაცემი კაცი კარლო თავბერიძე იყო. ყავარს ვისაც გამოატანდა, ამხდელ ბილეთსაც გამოატანდა, რომელშიც აღნიშნული იყო იმის რაოდენობა თუ რამდენის გამოტანის ნება ჰქონდა მიცემული. როცა „აბეშიკი“ შეხვდებოდა, იგი ბილეთზე აკეთებდა აღნიშვნას, რაოდენობაზე ხელის მოწერით.

ომის შემდგომი პერიოდში არ იყო ადვილი ოჯახის შენახვა. ყველა ღონეს ხმარობდნენ ადამიანები, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ.

ლადიმე (ვლადიმერ) და ეპრასი ვაშალომიძეებს მრავალსულიანი ოჯახი ჰქონდათ –6 შვილი ჰყავდათ. მათ ცხენი არ ჰყავდათ, მოკრიფეს საადრეო ბალი, ორივემ მოიკიდეს ზურგზე და წაიღეს ბახმაროში. იქედან ზოტიყელში გადავიდნენ – სადაც ალპურ საძოვრებზე აჭარლების მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. დაქანცულებმა გადაცვალეს ბალი ფქვილზე, ცოტა ყველზეც, კარტოფილზე და უკან დაბრუნებისას დაქანცულებმა დაისვენეს ჩადრეკილში და მოილაპარაკეს, რომ ერთი ამ პროდუქტს წაიღებდა, ხოლო მეორე ე.ი. ლადიმე ზურგით წაიღებდა 50 ცალ ყავრის ფურცელს.

ვინც ადრეა ნამყოფი სანადიროდ ბახმაროსკენ, ან ისე უვლია, ეცოდინება, რომ თოვლი სადაც 2-3 მეტრი, ხან მეტიც მოდის, პატარა ხეობებში უფრო გვიან დნება და ისიც, ქვემოდან ე.ი. ზევით რომ გგონია მყარად მიდიხარ, იქნებ თხელი ფენაა. ..მოდიან ჯოხდაბჯენილი ასაკოვანი ადამიანები, უჭირთ, მაგრამ ცოტა საკვები და თანაც ყავარი მოაქვთ და უხარიათ. ჩვენ იმ ადგილს დიდ საგანოს ვეძახით, იმიტომ, რომ სულ გვერდით მივყვებით სათიკნიას მთას; ერთ ადგილას მოსულები თოვლზე გავიდნენ. ეპრასის უფრო მსუბუქი ტვირთი ჰქონდა, გადავიდა მეორე მხარეს, მაგრამ ლადიმეს ჩაუშვავდა თოვლი და უზარმაზარ ჭაში ჩავარდა. ჯერ, როგორც იქნა ყავარი ამოათრია ეპრასიმ, ხოლო შემდეგ „დაფხოჭილი“ და დაცემით მიღებული ტრავმით ეპრასის დახმარებით ლადიმეც ამობობღდა ზემოთ. განაგრძეს გზა სოფლისაკენ. მაშინ დიდი ყურადღებით იყვნენ ტყის მცველები და ტყის უკანონო ჭრის გასაკონტროლებლად, ვანისქედის სოფელთან ახლოს, სამტრედაზე ხერგილი ჰქონდათ გამართული. გამვლელ-გამომვლელი ამ გზას ვერ აცდებოდა. აქვე მარცხენა მხარეს ბახმაროს გზის ჩოხატაურის სატყეო იყო, ხოლო მარჯვნივ – სანისლიეს გორიდან სათიკნიამდე და იქ კიდევ ჯაროს ნაკარვალის (ადგილებია ბახმაროს ტყეებში) ჩათვლით: საქაჯიე, ტეკარა, ბახვის წყლის გაღმა-გამოღმა მახარაძის (ოზურგეთის) სატყეო იყო.

ჩოხატაურიდან მეტყევე ჭუკიე კალანდაძე და კიდევ ერთი კაცი მორიგეობდნენ ხერგილზე მონაცვლეობით; ჩვენ ე.ი. ოზურგეთის მხრიდან, მათთან ერთად მორიგეობდნენ მთისპირელი ტყის მცველები, „აბეშჩიკები“: ხარიტონ ანდღულაძე და ტიტიკო სოსელია. ეს ხანდაზმული მეტყევეები ხალხში დიდ სიმპათიას იმსახურებდნენ იმის გამო, რომ ტყე მაშინდელ იქაურ მცხოვრებლებს თითქმის კვებავდა, ეს ჰუმანური ხალხი ხშირად თვალს არიდებდა ხე-ტყის მომხმარებლებს, რადგან ისინი ამით, ამ გაჭირვების დროს, თავის ღარიბ ოჯახებს კვებავდნენ. ჰოდა ჩამოაღწიეს რის ვაივაგლახით ლედიმემ და ეპრასიმ სოფლის ახლოს გამართულ ხერგილთან და შეისვენეს თუ არა, კალანდაძე ლადიმეს ყავრის ბილეთს სთხოვს. აბა ლადიმეს ზურგით წამოღებული 50 -მდე ფურცელი ყავრის ბილეთი სად ექნებოდა და კალანდაძემ ჩამორთმევა დაუპირა, –წარმოიდგინეთ, ამ გაჭირვებული კაცისთვის ყავრის წართმევა რას წარმოადგენდა? ხარიტონი სთხოვს კალანდაძეს – ეს რა ადამიანობაა, ამისთვის ვინ გეტყვის მადლობასო. არ გასჭრა ხვეწნამ და ხარიტონმა წამოავლო ხელი მის „ბერდენას“ (თოფია ასეთი). – წადი, ლადიმე ძმია! და თუ ვინმე ხელს შეგახებს, ტყვიას ვესროო... წავიდა საწყალი ხალხი, დაბოღმილი და შეურაცხყოფილი.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ იმ ძნელბედობის ჟამსაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც გაჭირვების ჟამს მშიერ ოჯახებზე, ქვრივ-ობლებსა და მათ ოჯახებს, ვინც ფრონტზე იბრძოდა და მათგან არაფერი ისმოდა – მათი შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდნენ.

**მარჯვნიდან (დგანან): შაქრო მეფარიშვილი, გრიშა სიამაშვილი, ბენია ინწკირველი, ნოე სარიშვილი, სოსო ნიკოლაიშვილი, ავთანდილ ცქიტიშვილი (სკოლის დირექტორი), მამია ნიკოლაიშვილი, ნოდარ ჩხაიძე, თალიკო ნემსაძე, ჟორა დოლიძე, მაგული მოსწრაფეშვილი; (სხედან) ლამარა დოლიძე, ევგენი ასათიანი (აგრონომი), ბენია ერქომაიშვილი (საბჭოს თავმჯდომარე), გურამ ვაშალომიძე (მთისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), მამია თალაკვაძე (აგრონომი), იულია ნიკოლაიშვილი.**

## ქორწილი სოფელში

უკანავას წყალგაღმა პატარა ლამაზ კუთხეში – თაფურიათში 4 ოჯახი ვცხოვრობდით. მე დედ-მამის ერთადერთი შვილი ვიყავი.

ნიკო თალაკვაძის შვილის ოჯახში ჩასიძებული იყო სერაპიონ გიტოს ძე შეწირული. ცოლს ელადი ერქვა. ჰყავდათ 2 გოგო და ერთი ბიჭი (სხვათაშორის შეწირულების 4 ოჯახი ცხოვრობდა უკანავაში). მეორე ოჯახი იყო მამაჩემის – ირაკლი თალაკვაძის, სადაც დაოჯახდა ჩემამდე. პირველი ცოლის ხელში 4 ანგელოზივით შვილი გაზარდა. მეხუთე მე ვიყავი მეორე მეულისაგან –დედას ლასიონი ერთქვა.

მესამე ოჯახი კირილეს და მინა(ლომთათიძის ქალი) ინწკირველების ოჯახი იყო. მათ 6 შვილი ჰყავდათ: 4 ქალი და 2 ვაჟი; მთლად ტყისპირას მეოთხე – აპოლონ ჩითანის ძე თალაკვაძის და ეკა ინწკირველის ოჯახი იყო. მათაც 6 შვილი ჰყავდათ –3 ქალი და 3 ვაჟი. ამ სამივე ოჯახს მთიპირი-ვანისქედის საზღვარზე ჰქონდათ ძირძველი ოჯახები, ხოლო აპოლონი გვაბრათელი თალაკვაძე იყო. ასე, რომ ამ პატარა კუთხეში 20 ბავშვი გაიზარდა, საიდანაც ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. მაგონდება ჩემი პატარაობა და ალბათ ისეთი ტკბილი ცხოვრება –მიუხედავად მატერიალური სიღარიბისა, აღარ განმეორდება...

აპოლონის უფროსი ვაჟი გრიშა მომღერალი იყო და რაიონის სიმღერის გუნდში მღეროდა. იყო უბადლო მოკრიმანჭულე და უკრავდა ყველა დასაკრავ ინსტრუმენტზე. მახსოვს, როცა მათან მივიდოდი, ვნახულობდი ჩემთვის უცხოს (ალბათ სხვისთვისაც) „სკრიპკას,“მანდოლინას, გიტარას, ჩონგურს, ფანდურს. იგი და მისი მომდევნო ძმა ალიოშა თვითონ აკეთებდნენ ულამაზეს მუსიკალურ ინსტრუმენტებს... ზამთრობით შეიკრიბებოდნენ ჩვენს პატარა სახლში მეზობლები ბუხართან, იყო გიტარით და ფანდურით დაკვრა და სიმღერები – ჟრიამულობდა ჩვენი კუთხე და ჩვენი ქვეყანა. ყანის თოხნაზე იყო „ნადურის“ სიმღერა. ჩვენ ცოტა გვქონდა სახნავი და იგიც ცხენით თუ არა, ძირითადად თოხით ვმუშაობდით, ისეთი ფერდობები იყო, რომ „ლაკატკით“ ვთესავდით სიმინდს. ყურძნის კრეფაზე „აგიდელას“ მღეროდნენ, საწნახელს რომ გათლიდნენ ტყეში, იმის გამოტანა ერთი ზეიმი იყო. ისმოდა „ელესა“ და ჯანღონით სავსე ვაჟკაცებს, მხარდამხარ მოჰქონდათ ამოდენა ხე.

კარგად მახსოვს მაშინდელი ქორწილები: მოდიოდნენ მაყრები ცხენებით, თუ მოშორებით იყო დედოფალი, დედოფლისთვის თვინიერ ცხენს ირჩევდნენ. უნაგირი კაცების ცხენებს ედებათ, ხოლო ქალებისთვის კი – „სედლოს“ ეძახდნენ, რომელსაც საჯდომი ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ ფეხები ერთ მხარეზე ჰქონდა ქალებს გადმოწყობილი. ქორწილი 60-80 კაციანი იყო, ვისაც შეეძლო ას კაცამდეც აწყობდა.

მაშინ ელექტრო განათება ქალაქში თუ იყო, სოფელში გაზრდილ ბავშვებს წარმოდგენაც არ გვქონდა. სახლში, ზალაში ჭერზე დიდი მრგვალი ნავთის ლამპა იყო ჩამოკიდებული, დიდი მრგვალი ფითილით. შუა ადგილას მაგიდებზე ან სანთლები იყო, ან უფრო პატარა ლამპები, ეზოსთან მოსვლამდე ღობის სარებზე ნავთში ამოვლებული სიმინდის დიდი ნაგულები იყო ჩასობილი, –ხოლო ეზოში, ძველ „ტაშტზე“, რომელიც მომაღლოდ იდგა, დაყრიდნენ მოსქო ფენად ნაცარს, ნავთს დაასხამდნენ და როცა მაყრიონი მოუახლოვდებოდა სახლს, ამ საქმისთვის გამოყოფილი ახალგაზრდა კაცი დაიწყებდა ნაგულის ანთებას, შედეგ „ტაშტს“ წაუკიდებდა ცეცხლს. საოცრად ლამაზი იყო აბრდღიალებული ფაკელები (ჩირაღდნები).

ქორწილში მეზობლებს ძირითადად შინაური ნაწარმი მიჰქონდათ: ღვინო, არაყი, ინდაური, ქათამი, ყველი, ნიგოზი. ვისაც შეეძლო გოჭს მიუყვანდა. ფულის მიტანა არც ქორწილში იყო და არც ქელეხში. საკვებს ძირითადად შინაური კაცი, ან მოყვანილი „პოვარი“ (მზარეული) ამზადებდა: საცივი, ღომი, ხაჭაპურები, „ხარჩო,“მჭადები, პური, მშრალი ხორცი. გოჭებს ცეცხლის პირას –ორკაპ ჯოხზე, გრძელ შამფურგაყრილს წვავდნენ. ტრიალებდა ღორის ხორცის მწვადები, შემწვარი გოჭი და ხილეული.

ღვინის სმა ღვინის ჭიქებით იყო –თამადა დააწყობდა ხონჩაზე ან ყავარზე ამ პატარა სასმისებს და წარმოთქვამდა სიტყვაკაზმულ სადღეგრძელოებს. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ზომის ყანწებიც მონაწილეობდა ქორწილში. პავლე ასათიანის ყანწებში თითო ბოთლი ღვინო ჩადიოდა. რა თქმა უნდა, ყველას როდი ჰქონდა ყანწები და თხოულობდნენ.

სიმღერას პირველი ადგილი ეკავა ლხინში. ჯერ ერთი სუფრა მღეროდა, შემდეგ მეორე გადაიტანდა. სრულდებოდა გურული სიმღერები: პირველად, როცა დედოფალი მოჰყავდათ, „მაყრულით“ მოდიდნენ. შემდეგ მღეროდნენ „მრავალჟამიერს“, „მწვანესა და უქუდოსა“„ხასანბეგურა“, „შვიდკაცა“, „ადილა ალიფაშა“; ჩონგურზე –„დილა არის ცა ლაჟვარდი,“ „შალვა ჩემო,“და უამრავი სხვა სიმღერა და ცეკვა სრულდებოდა. ქორწილი გათენების იყო, სუფრის დატოვება არ შეიძლებოდა.

დედოფალს პატარა ბავშვს შეაგებებდნენ ან ჩაუგორებდნენ კალთაში. მახსოვს, მაშინ 5 წლის ვიყავი, ჩვენმა მეზობელმა ილიკო ინწკირველმა ცოლი რომ შეირთო. ქალბატონი გოგოლა თავაძის ქალი, ვანიდან (სუფსის გაღმა) როგორ ჩამახუტეს, ღმერთმა გაანათლა მისი სული, იგი შემდგომში ჩემი მეორე დედა იყო. ძმები ილიკო და პალადი ომში დაიკარგნენ –ასევე გოგოლას უალამაზესი ძმა გერონტი თავაძე ვანიდან. ასეთი იყო ჩვენი სოფლის ცხოვრება, სანამ ის უბედური სამამულო ომი არ დაიწყო.

**(გაგრძელება იქნება)**

**ნოდარ თალაკვაძე**

# გია ბაქანიძე 80 წლისაა–ვულოცავთ!



80 წლის გახდა ცნობილი ოზურგეთელი სპორტსმენი, ყოფილი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **გია ბაქანიძე.**

განათლებული და კარგი ადამიანების ოჯახში დაიბადა, მეორე მსოფლიო ომის მძინვარე პერიოდში –1942 წელს. მამა შალვა ყაზბეგში მუშაობდა –ახალგაზრდული ორგანიზაციის თავკაცი იყო, შემდეგ ოზურგეთში გადმოიყვანეს. მის სახელს უკავშირდება ოზურგეთში სახელმწიფო არქივის ჩამოყალიბება. დედა – ნინო ქიმიის მასწავლებელი იყო, თუმცა როგორც გია ბაქანიძე ამბობს, დედას მისი სპეციალობით არ უმუშავია, რადგან 4 შვილს ზრდიდა....

გიამ 1962 წელს დაამთავრა ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1973 წელს -დაუსწრებლად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

გია ბაქანიძე იმ პლეადის წარმომადგენელია, რომელთაც გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლებში მწვრთნელ მიხეილ გოგუაძის ხელმძღვანელობით, პირველი გამარჯვებები მოუტანეს ოზურგეთს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რესპუბლიკურ თუ საკავშირო ჩემპიონატზე .

გია ბაქანიძე თანაგუნდელებთან: რამაზ მორჩილაძესთან, იური სიორიძესთან, იური ხომერიკთან, ანზორ ლომაძეს თან, დათო ლაღიძესთან,შალვა შავგულიძესთან, ალიკა ასათიანთან და რუსლან ვასაძესთან ერთად, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო პირველობებზე.

*– სპორტი მიყვარდა. 19-56 წელს ფეხბურთის სექციაში შევედი, ჭაბუკებს ოთარ კიშინსკი წვრთნიდა. 1958 წელს ოზურგეთში ჭიდაობის სექცია გაიხსნა და მას მიხეილ გოგუაძე ჩაუდგა სათავეში. ფიზიკუად ძლიერი ვიყავი და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დავიწყე ვარჯიში. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს თანაგუნდელმა ქართლოს შავგულიძემ ხელი მომტეხა და ცოტა ხნით ვარჯიშებს გამოვეთიშე. ვჭი-დაობდი ჯერ 52, 57, 60 კილოგრამ წონით კატეგორ-იებში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ პირველობზე.*

*1960 წელს „კოლმეურნეს“ პირველობზე 57 კგ. წონით კატეგორიაში უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი. მე მე-3 ადგილი დავიკავე. ჩემპიონი შურა მაისურაძე გახდა, ხოლო მეორე ნოდარ ხოხაშვილი იყო. ამავე წონაში საკავშირო პირველობაზე წარმატებით გამოვედი ქ. ბაქოში გამართულ შეჯიბრზე. ამ შეჯიბრებეში წარმატებებს მიაღწიეს თანაგუნდელებმა ანზორ ლომაძემ, რამაზ მორჩილაძემ, დათო ლაღიძემ და სხვებმა...მე როგორც გუნდურში, ისე პირადში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გავხდი.*

*არაერთ შეჯიბრში მაქვს მონაწილეობა მიღებული და შედეგებიც მქონდა, რის დასტურიც იყო ის, რომ 1963 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი გავხდი.*

*1963 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და 3 წელი დავყავი იქ....*

1967 წლიდან გია ბაქანიძე მწვრთნელად მუშაობდა ოზურგეთის სასპორტო სკოლაში;

1968 წელს ოზურგეთის „მერცხალის“ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი საკავშირო გათამაშების „ბ“ ჯუფში გადავიდა და რეაბილიტირებული სტადიონ „მეგობრობის“ ადმინისტრატორად სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ თავმჯდომარე კოტე გოგატაძემ გია ბაქანიძე დანიშნა.

1971 წელს გია ბაქანიძე წყალში მაშველთა საზოგადოების თავმჯდომარედ დაინიშნა, სადაც 1980 წლამდე იმუშავა. შემდეგ იყო ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს ფიზკულტურის მეთოდისტი, სამმართველოს მომარაგების სამსახურის ეკონომისტი, იურისტ-კონსულტი; 1996 წლიდან დღემდე ოზურგეთის სპორტსკოლის მწვრთნელია. მისი აღსაზრდელები წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს ჭაბუკთა პირველობებზე, სხვადასხვა ტურნირებზე.

გია ბაქანიძეს დაბადების დღე ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და უახლოესმა მეგობრებმა მიულოცეს.

ვულოცავთ ბატონ გიას საიუბილეო თარიღს და ჯანმთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ!

**მეგობრები**

# ვარლამ ვაშალომიძის ხსოვნას

ვარლამ არტემის ძე ვაშალომიძე დაიბადა 1896 წელს მთისპირის თემის სოფელ ვანისქედში. სიმღერა მშობლებმა შეაყვარეს, რაც მათ, კარგად ეხერხებოდათ. ვაშალომიძეების ოჯახიდან ხშირად ისმოდა სასიამოვნო ქართული ჰანგები. ისინი უკრადნენ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე; ჩონგური, ქართული გარმონი, დაირა და სხვა. დამბებს შორის ვარლამი განსაკუთრე-ბული ნიჭით გამოირჩეოდა. 6 წლისამ რამდენიმე გურული სიმღერა იცოდა. 13 წლის ასაკსში პირველად შეეხდა ვარლამ სიმონიშვილს, რომელმაც თავისი ბაშვური კრიმანჭულით თავი მოიწონა და შეიძლება ითქვას, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ იგი გამხდარიყო სიმონიშვილის გუნდის წევრი.

შემდგომ ვარლამ ვაშალომიძე იხსენებს: – „ჩემი მეცადინეობის და ინტერესის შედეგად , 1937 წელს მახა-რაძის რაიონიდან მხოლოდ მე მომითხოვეს მოსკოვში დეკადაზე გასამგზავრებლად, როგ-ორც გურული სიმღერების დამწყები.(ვარლამ ვაშალომიძე ლიტერატურისა და ხელოვნ-ების ამ დეკადაზე კირილე პაჭკორიას ცნობილ გუნდში მღეროდა.) იქ მიგვიწვიეს კრემლის დიდ სასახლეში და მომცეს ფულადი ჯილდო 2000 მანეთი. მოსკოიდან დაბრუნების შემდეგ, დავბრუნდი სიმონიშილის გუნდში, სადაც ბოლომდე ვიყავი წამყვანი მომღერალი.“

1934 წლიდან ვარლამ ვაშალომიძე სოფელ მთისპირის საკოლმეურნეო გუნდს ხელმძღვანელობდა და წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა დათალიერებასა თუ ფესტივალზე.

1953 წლიდან ვარლამ ვაშალომიძე ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლთან არსებული გუნდის წევრი იყო.

1963 წლიდან, ვარლამ ვაშალომიძის ინიციატივით ჩამოყალიბდა უხუცეს მომღერალთა ანსამბლი „დილა,“ სადაც გაერთიანდა ძირითადად ვარლამ სიმონიშილის ანსამბლის ყოფილი წევრები. მათ გამორჩეული ხელმძღვანელი არ ჰყავდათ, მაგრამ როგორც უხუცესი, ეს საქმე ვარლამ ვაშალომიძეს მიანდეს. ამ ანსამბლმა თავიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

1967 წელს ივეტ გრიმოვისა და გრიგოლ ჩხიკვაძის ექსპედიციამ ჩაიწერა ამ ანსამბლის სიმღერები.

აი, რას წერს ანზორ ერქომაიშილი ანსამბლ „დილას“ შესახებ:

–„დილაში თავი მოიყარეს ვარლამ სიმონიშვილის მოწაფეებმა – ამ პერიოდისთის უკვე ხანდაზმულმა მომღერლებმა.

ვისაც მათი ნამღერი გურული სიმღერები მოუსმენია, მართლა იტყვის, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესოთ, განსაკუთრებით ტრიოს მიერ (ვაშალომიძე, სიხარულიძე, ჭკუასელი) მიერ შესრულებული „ჩვენ მშვიდობა,“ „მე რუსთველი,“ „მადლობელი..“ და სხვა. ისინი არასდროს არ გადაუხვევდნენ სიმონიშილის ე.წ. ხაზს.

ანსამბლი „დილა“ მოწესრიგებული, დისციპლინიანი ანსამბლი იყო. მე რამდენჯერ შემხვედრია ვარლამი ქოლგით და კალოშებით საშინელ ამინდში რომ მიდოდა – არ დამიგვიანდეს რეპეტიციაზეო. ამოტომაც „დილა“ გახდა ხალხის საყვარელი ანსამბლი.

1980 წელს ვარლამ ვაშალომიძეს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ვარლამ ვაშლომიძე გარდაიცვალა 1987 წლის 5 სექტემბერს. დაკრძალულია ვანისქედის სასაფლაოზე.

ტკბილი მოგონებები ამ ბერმუხა ხელოვანს.

**ტრისტან სიხარულიძე,**
ხელოვნების ქურუმი

# საქმე სიკეთით სხივმოსილი ანუ ანასეულის სამეცნიერო სკოლის კიდევ ერთი წარმატება




ფილოსოფოს პლატონის ღირებულებათა თეორიაში სიკეთე ყველაზე უმაღლეს ღირებულებად მიაჩნია. წიგნი ცოდნის შეძენის საფუძველი ანუ სინათლე და სიკეთეა. ადამიანი სულ მცირე სიკეთემაც კი შეიძლება ძალიან გაახაროს, თუ მას ამ სიკეთის აღქმისა და გააზრების უნარი გააჩნია. გიხაროდეთ, ანასეულის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლებმა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი გამოსცეს.

„სუბტროპილული კულტურების აგროტექნოლოგია“არის ფერმერთა დასახმარებლად გამოცემული წიგნი, ანუ სიკეთე, რომელსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა და სამომხმარებლო ღირებულება გააჩნია, და რომელიც გამოადგება ყველა იმ ადამიანს, რომელიც სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებით არის დაინტერესებული.

წიგნის ავტორები არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ცოდნა და გამოცდილება, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც სიკეთის მარცვალი ამ წიგნის ფურცლებს მიაბარა, რათა შემდგომ სხვადასხვა ადამიანთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით კეთილ ნაყოფად დაუბრუნდეს საზოგადოებას, სიკეთე და სიხარული, ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატება არ მოკლებოდეს ანასეულის სამეცნიერო სკოლის ღირსეულ წარმომადგენლებს.

ამ ძვირფასი მეცნიერული ნამუშევრის ავტორები, რედაქტორი და რეცეზენტები სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიური მეცნიერების უაღრესად ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ წიგნის ათ კაციან შემოქმედებით კოლექტივში შვიდი მეცნიერებათა დოქტორია, რომელთაგან ხუთი აკადემიკოსია.

ამ წიგნში განთავსებული ინფორმაცია გაბნეული იყო სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებში. ავტორებმა ფასდაუდებელი შრომა გასწიეს, რათა მოეხდინათ ამ ინფორმაციის საკუთარი აზროვნების პრიზმაში კიდევ ერთხელ გატარება, დალაგება და კონსოლიდირებული ხაზით წარმოდგენა.

ეს წიგნი უაღრესად ძვირფასი შენაძენია, მისი გამოცემა ერთხელ კიდევ ადასტურებს ანასეულის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთა მაღალ სამეცნიერო პოტენციალს, რედაქტორის, რეცენზეტებისა და ტექნიკური ჯგუფის ქვეშეს წინაშე პასუხისმგებლობას. მადლობა მათ გაწეული შრომისა და მეცნიერული აზრის ერთგულებისთვის, წიგნის გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის.

ყველა იმ პიროვნებას, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან ხართ დაკავშირებული, გირჩევთ გაეცნოთ ამ წიგნში განთავსებულ მეცნიერულ რეკომენდაციებს, რათა თქვენი საქმიანობა ბევრად უფრო წარმატებული და ბარაქიანი იყოს. ბოლო წლებში თუნდაც თხილის კულტურასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა (მხედველობაში მაქვს მავნებელი –აზიური ფაროსანა) აშკარად დაადასტურა თუ რა მნიშვნელობა აქვს თუნდაც მცენარეთა დაცვის მიმართულებით მეცნიერული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

ავტორთა მიზანიც ხომ ის არის, რომ მათ მეცნიერულ ნააზრევს და რეკომენდაციებს რაც შეიძლება მეტი ადამიანი (განსაკუთრებით ფერმერები) გაეცნონ.

მოხარული ვარ, რომ ავტორებმა გაითვალისწინეს პოეტი-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის შეგონება „ჰერანგს მოგცემ, წიგნს კი არა“ და საჩუქრად გადმომცეს მათი წიგნი საოცრად გულთბილი სამხსოვრო წარწერით. ჩემი პირადი მადლობა ამ კეთვნილი საჩუქრისათვის ლექსად მინდა გამოვხატო:

დაგელოცოთ მარჯვენა
პიროვნებას ამშვენებს გონება
და მარჯვენა,
პიროვნება ზოგადად საქმეებით
ფასდება.
დავინახეთ თქვენს წიგნში იდეათა
აფრენა,
ღმერთმა შეგაძლებინოთ კიდევ
ბევრის დაწერა.
ოსტატობა შეგიქეთ, შრომა
დაგიფასდებათ,
გაიხარეთ, გამრალდით,
გადღეგრძელოთ გამჩენმა,
დაგელოცოთ გენი და
დაგელოცოთ მარჯვენა.

გულწრფელად გვწამს და მიგვაჩნია შემდეგი:

– ამ შესანიშნავ წიგნს ნამდვილად ექნება მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება სუბტროპიკული (და არამატო) მემცენარეობის დარგის განვითარებით დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქისათვის, მათ შორის სტუდენტებისთვის.

– სავსებით შესაძლებელი და მიზანშეწონილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოეწყოს ამ წიგნის პრეზენტაცია.

– პრესამ, ტელევიზიამ, საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრმა და ყველა პროგრესულად მოაზროვნე და გულ და გონებანათელმა ადამიანმა შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეუწყოს ამ წიგნში მოცემული იდეებისა და რეკომენდაციების პოპულარიზაციას და პრაქტიკაში დანერგვას, თუ გვინდა რომ საქართველომაც დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მზის ქვეშ.

**ომარ ბაკურაძე,**
ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერთანამშრომელი, კოოპერატივ „აგროლიხური“-ს დირექტორი.

# ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

## ქართული სოციალ-დემოკრატია და ეროვნული მოძრაობა




**1901-1903 წლებში, რსდმპ II ყრილობამდე, ნოე ჟორდანია არ იზიარებდა ავტონომიის წინააღმდეგ მებრძოლთა შეხედულებას.** II ყრილობის წინ, რსდმპ კავკასიის კავშირმა დაავალა ნოე ჟორდანიას, დაეწერა „პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე მთელი სარუსეთო მასშტაბით“. **ნოე ჟორდანია** აღნიშნავს: საკმაოდ ვრცელი პროგრამის პროექტში „ნაციონალურ საკითხში მქონდა წამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერ-კავკასიის თვითმმართველობა პარლამენტით თფილისში“. შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოე ჟორდანიას მის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი რსდმპ II ყრილობისათვის არ წარუდგენია. ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიამ ყრილობაზე მრავალი საყურადღებო შენიშვნა გააკეთა, მაგრამ პროგრამის პროექტში განმარტების გარეშე შეტანილი ერთა თვითგამორკვევის ცნების დაზუსტება არც მას უცდია. ყრილობის შემდეგ, 1904 წელს, ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა აზრი იმის შესახებ, რომ ერთა თვითგამორკვევა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასაც ნიშნავდა. ეს თვალსაზრისი შემდეგ, 1906 წელს, დაადასტურა რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ამ უაღრესად პროგრესული დებულების წამოყენებასთან ერთად, **ნოე ჟორდანიამ აშკარად გამოკვეთილი უარყოფითი პოზიცია დაიკავა საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ,** უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა სოციალიზმ-ფედერალიზმს, მის მთავარ იდეოლოგს, არჩილ ჯორჯაძეს, ფედერალისტთა ბეჭდვით ორგანოებს: „ცნობის ფურცელსა“ და „საქართველოს“. ნოე ჟორდანია გამოხატავდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის შეხედულებას. **საქართველოს ავტონომიის იდეა, „საერთო ნიადაგის“ თეორია იოსებ სტალინისთვისაც მიუღებელი იყო.** თავისი პოზიცია მან ვრცლად ჩამოაყალიბა 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ იოსებ სტალინისთვისაც, ისევე, როგორც ნოე ჟორდანიასთვის, მიუღებელი იყო ის იდეები, რომლებსაც ქადაგებდა არჩილ ჯორჯაძე და სოციალისტ-ფედერალისტთა ბეჭდვითი ორგანოები. არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამა, ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებად გაყოფამდე, მიუღებლად მიიჩნია ქართული სოციალ-დემოკრატიის ისეთმა ცნობილმა წარმომადგენელმა, როგორიც ალექსანდრე წულუკიძე იყო. თავისი შეხედულება მან ვრცლად ჩამოაყალიბა 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე“.

**ამრიგად, 1905 წლამდე, რევოლუციის დაწყებამდე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციას, თავისი გამოჩენილი მოღვაწეების ნოე ჟორდანიასა და იოსებ სტალინის სახით, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია ეკავა საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ, მიუღებლად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამა.**

რევოლუციის დაწყების შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრძოლას საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ მჭიდროდ გადაეჯაჭვა კლასთა თანამშრომლობის, წოდებათა შერიგების, საერთო ნიადაგის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით აქტუალური გახდა, რადგან რევოლუციამ ავტონომიისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერებში თეორიული მსჯელობიდან პრაქტიკულ სიბრტყეზე გადაიყვანა, ხოლო წოდებათა შერიგების და საერთო ნიადაგის გამონახვის იდეის ხორცშესხმას ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაუპირისპირდა. როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები, მისი ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქცია, 1905 წელს საქართველოს ავტონომიის, კლასთა თანამშრომლობის, წოდებათა შერიგების, საერთო ნიადაგის იდეას დაუპირისპირდნენ, ფაქტობრივად, ისინი უპირისპირდებოდნენ არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც იმხანად განასახიერებდა როგორც ავტონომიის, ისე საერთო ნიადაგისათვის ბრძოლის მთავარ იდეოლოგს. ილია ჭავჭავაძესთან ქართველი სოციალ-დემოკრატების უთანხმოებამ რევოლუციის წლებში უკვე სხვა ხასიათი მიიღო.

**ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები აშკარად დასცილდნენ ერთმანეთს, მათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი.** აქ იოსებ სტალინის თავშეკავებას ენაცვლებოდა ნოე ჟორდანიას ზომიერი კრიტიკა, ამ უკანასკნელს აგრძელებდა ფილიპე მახარაძის აშკარად აგრესიული გამოხტომები ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნისა და როგორც საზოგადო მოღვაწის, წინააღმდეგ, და ბოლოს, ყურადღების გარეშე არ შეიძლება იქნეს დატოვებული ვლადიმერ დარჩიაშვილის უაღრესად საყურადღებო წერილები - ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასების ცდა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ პირველმა ფილიპე მახარაძემ გაილაშქრა. 1905 წლის 10 აპრილს ფილიპე მახარაძის ჟურნალმა "მოგზაურმა" ფსევდონიმით ვ.ნ. გამოაქვეყნა ცილისმწამებლური მასალა სათაურით **„საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“**. ილია ჭავჭავაძის პასუხს **„ნუთუ?“** მოჰყვა „მოგზაურში“ დაბეჭდილი კიდევ უფრო ცილისმწამებლური და თავხედური ტონით დაწერილი ფილიპე მახარაძის **„თავის გამართლებაც ასეთი უნდა!“** და ვ. ნ.-ს **„პასუხი ილია ჭავჭავაძეს“**. ჟურნალი „მოგზაური“ რევოლუციის პირველი ხანებიდანვე დიდ ადგილს უთმობდა ე. წ. თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, უპირველესად, ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ ლაშქრობას ნიშნავდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ფილიპე მახარაძე. აღსანიშნავია მისი წერილები: **„კიდევ ნაციონალიზმის შესახებ“, „ძმობა-ერთობაზე ღაღადი ჩვენში“, „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება“, „მცირე შენიშვნა“, „ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, „ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი“, „ეროვნული ავტონომია და მუშათა კლასი“.** წერილში „კიდევ ნაციონალიზმის შესახებ“ ფილიპე მახარაძემ უნიადაგოდ გამოაცხადა წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის ილია ჭავჭავაძისეული იდეა. ფილიპე მახარაძე ირონიულად აღნიშნავდა: „თუ რანაირი სიყვარულია ქართველ მუშებსა და ქართველ კაპიტალისტებს შორის, ან ქართველ მემამულეებსა და ქართველ გლეხებს შორის, ეს ყველამ კარგად უწყის“. საქართველოს ავტონომიზაციის იდეის წინააღმდეგაა მიმართული ფილიპე მახარაძის წერილი „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ნაციონალისტების აზრით, ეროვნულ საკითხს გადასწყვეტს ავტონომია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა ამით არა თუ გაადვილდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება“. ფილიპე მახარაძეს ეჭვიც არ ეპარება, რომ ეროვნული საკითხი სოციალურის გარეშე არ გადაიჭრება, რადგანაც „ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა, მხოლოდ ქურქში გახვეული. ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იგნებს მშრომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას“. 1905 წლის 6 ნოემბერს, როცა ცარიზმის პოზიციები შერყეული იყო, ხოლო რევოლუცია კვლავ აღმავლობის გზით ვითარდებოდა, ფილიპე მახარაძე გამარჯვებული პოლიტიკოსის პოზიციიდან წერდა: „თითოეული ერის პროლეტარიატს რომ ცალკე დაეწყო მოქმედება, რომ მას კარი ჩაეკეტა და ეროვნული ავტონომიის მოპოვებისათვის დაეწყო ზრუნვა, როგორც ამას ავტონომიის მომხრენი ქადაგებენ, რუსეთის თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ უვნებელი იქნებოდა“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფილიპე მახარაძე ასკვნიდა: „ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნული ავტონომიის მოპოვებას. ჩვენი აზრით, ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ხელს შეუწყობს რეაქციონულ ძალებს, კონტრ-რევოლუცია გააძლიერონ და რუსეთში შეაფერხონ ფართო დემოკრატიული წეს-წყობილების დაფუძნების საქმე“. ასე გამოაცხადა ფილიპე მახარაძემ საქართველოს ავტონომია დემოკრატიის მტრად.

საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული მასალიდან ყურადღებას იმსახურებს კიდევ რამდენიმე წერილი. მათ შორისაა **„ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“,** რომელიც დაიბეჭდა ფსევდონიმით „ს-დ“. წერილის დედაარსი გამოხატულია სიტყვებში: „ბურჟუაზია - აი ვის უხდება და იფარავს ავტონომია“. საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგაა მიმართული „მოგზაურში“ „გ-ს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ორი წერილი: **„როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა“ და „უტოპიური ელემენტები ფედერალისტების აზროვნებაში“.** აღსანიშნავია, რომ ნოე ჟორდანიას, რომელიც „მოგზაურში“ აქტიურად თანამშრომლობდა, საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ არაფერი დაუბეჭდავს, თუმცა ცნობილი იყო, რომ ამ იდეას მაშინ იგი მხარს არ უჭერდა. სამაგიეროდ, ძალზე აქტიურობდა ირაკლი წერეთელი. იგი ერთნაირად მიუღებლად თვლიდა როგორც საქართველოს ავტონომიას, ისე საერთო ნიადაგის იდეას. საქართველოს ავტონომიის არჩილ ჯორჯაძისეულ იდეას რომ ეხებოდა, ირაკლი წერეთელი აღნიშნავდა: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? არის ეს მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისთვის (და მაშასადამე, ქართველებისათვისაც) სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლება? არა(...), ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ არის და სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის“ - აი, მოკლეთ მათი ეროვნული მოთხოვნილების შინაარსი(...). მათ სურთ, ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველე-ბისათვის საქართველოს საზღვრებში“. როგორც ვხედავთ, საქართველოს ავტონიმიის მოთხოვნაში ირაკლი წერეთელი მხოლოდ ნაციონალიზმის გაძლიერების საფრთხეს ხედავდა, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო. არჩილ ჯორჯაძისათვის საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ჩაგვრა მიუღებელი იყო.

**თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება კლასთა შერიგების, წოდებათა თანამშრომლობის, საერთო ნიადაგის იდეისა და საქართველოს ავტონომიის მიმართ ქართული სოციალ-დემო-კრატიის ორივე ფრაქციამ მთელი სიცხადით დაადასტურა რსდმპ IV(1906 წ.) და V(1907 წ.) ყრილობებზე გამოსვლების დროს. ამ საკითხმა ახალი შინაარსი შეიძინა, უფრო ყოვლისმომცველი გახდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში. აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი თვით ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის. ეროვნული საკითხი სულ უფრო ცხარე დისკუსიის საგანი ხდებოდა.**

### ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული-პარტიის შესაქმნელად

ილია ჭავჭავაძე ერის პოლიტიკურ პარტიებად დაშლას დიდ უბედურებად მიიჩნევდა. ჯერ კიდევ 1896 წელს გამოქვეყნებულ წერილში **"ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე"** ილია "მესამე დასის"აღმოცენებასთან დაკავშირებით წერდა: „იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს — მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა-კი რა მოგახსენოთ.“ ამ სტრიქონების დაწერიდან გავიდა 10 წელი და ცხადი გახდა, რომ ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებას უკვე პოლიტიკური პარტიები წარმართავდნენ. ეს ილია ჭავჭავაძისათვის მიუღებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურად არსებული ვითარება იყო. საქართველო წავიდა იმ გზით, რა გზაც გაიარა ევროპამ და რა გზითაც მიდიოდა რუსეთის იმპერია. ილიასათვის ამ სავალალო მოვლენას მეორე ამბავიც ემატებოდა: საქართველოში მოქმედი გავლენიანი პოლიტიკური პარტიების ეროვნული პროგრამები მისთვის მიუღებელი იყო, ხოლო ეროვნული პარტია საერთოდ არ არსებობდა. ილიამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნაზე, რომელიც არა რომელიმე სოციალური ფენისა თუ კლასის, არამედ საერთო-ქართული ინტერესების გამომხატველი იქნებოდა.

(გაგრძელება იქნება)

**ვახტანგ გურული**
საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918,) ტ.3. გვ.

# გურიიდან დაწყებული თავისუფლება, თუ თავისუფლების ფასი, „ბედის ბორბლის“ დაუნდობელ ტრიალში



ქალის მისია: მტკიცე ხასიათი ძალადობასთან შეუგუებლობის და ,ბოლო კითხვა, მაყურებლის ამოსახსნელი.

ავანსცენა, სიჩუმე. ქალთა გუნდის მცდელობა სისხლიანი ნაკვალევის წაშლისა. ეს დასაწყისია. ხმა წარსულისკენ, ბედის ბორბალიც წარსულიდან.

რეჟისორის ასისტენტი ეკატერინე ანთია; კოსტიუმების მხატვარი გია გვიჩია; სპექტაკლის წამყვანი ბონდო ჩხარტიშვილი; მუსიკალური გამფორმებელი თაზო იმნაძე; ქორეოგრაფი მარიკა ქვეითაია; ლოტბარები მამია რუსიძე, ლედი კეჭაყმაძე; სპექტაკლი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ყოფიერი ცხოვრების მოცემულობა გურიაში. ჩვეული ხმაური; ნადი ყანაში და ნადურის შემოძახილი; რთველი და ყურძნის დაწურვა; სახალხო სწავლების გაკვეთილები; სიყვარულის საოცარი გრძნობა და ცნობისმოყვარე გურულ ქალთა კითხვა-პასუხი - „აი რაია“ . უტექსტო ჟესტებითა და მიმიკით გამოხატული ემოციები მასიურ სცენებში.

ეს ფორმატი აირჩია მოწვეულმა რეჟისორმა და სცენოგრაფმა **ნიკოლოზ საბაშვილმა,** (თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), რომელმაც, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დასთან და შემოქმედებით კოლექტივთან ერთად, არავერბალური ფორმით შესთავაზა მაყურებელს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა, გასული საუკუნის დასაწყისში, როცა გურულებმა არა მხოლოდ დაანახვეს რუსეთის იმპერიას და მსოფლიოს — თავისუფლებისთვის ბრძოლის ფასი, საკმაოდ ძლიერადაც მოარღვიეს მოძალადე იმპერიის, თითქოსდა უძლეველობის სტერეოტიპი.

*აქ მთავრი მოქმედი პირი გლეხობაა.*

*მოკლე ისტორიული ექსკურსი: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სოციალური საკითხები საქართველოში ძირითადად აგრარული მოძრაობით და შესაბამისი პროგრამით შემოიფარგლებოდა. ხოლო ეკონომიკური - გლეხის სრულ იურიდიულ თავისუფლებას მოიაზრებდა. გურიაში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გვერდით, გლეხობამ პოლიტიკური საკითხების გადაჭრა მოითხოვა. ახლად შექმნილი ხელისუფლების რევოლუციური ორგანოები, ხალხის ნებას გამოხატავდა და ხალხის სახელით იღებდა ყველა გადაწყვეტილებას. ამიტომაც ეწოდა გურიის რესპუბლიკა.“* (**ვახტანგ გურული;** საქართველოს უახლოესი ისტორია 1801-1918. ტ. 2).

მღელვარება სრულიად საქართველოში, გურიის ცენტრი, ოზურგეთი. ქუთაისის გუბერნიას ჩამოცილებული, ერთ-ერთი მეამბოხე მაზრა. გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო (კაზაკთა) რაზმი, არტილერია და მოძრავი ლაზარეთი, ნატანების სადგურში უკვე შემოსული.

პარალელურად, სულთან კრიმ - გირეის შუამავლობა; მოსახლეობასთან შეხვედრები. 1905 წლის 23 თებერვალს, „ბახვის მანიფესტზე“, გლეხთა კომიტეტისგან გახმოვანებული სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნები. უარი მთავრობისგან. მეტიც, ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო, კაზაკთა რაზმებით თავს ესხმოდა მოსახლეობას და აწიოკებდა მათ. 1905 წლის 2 ნოემბერს ბრძოლა გაიმართა ნასაკირალის უღელტეხილზე, სადაც მეამბოხეთა რაზმებმა გაიმარჯვეს ბენიამინ ჩხიკვიშვილის და ნესტორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. გამოცხადდა გურიის რესპუბლიკა. რომელმაც, სამწუხაროდ, 1906 წლის დასაწყისში, შეწყვიტა არსებობა. მიუხედავად მძიმე დასასრულისა, გურულთა ბრძოლებს, უკვალოდ არ ჩაუვლია და დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

ისევ სპექტაკლს მივყვეთ. მასიურ სცენებში, კიდევ მეტად იკვეთება ოზურგეთელ მსახიობთა ოსტატობა. ისინი კარგად გამოხატავენ ყველა იმ ხასიათსა და რიტუალს, რაც დამახასიათებელია ამ კუთხისთვის. ხაზგასმულია მუსიკალური ფოლკლორის მნიშვნელობა გურული კაცის ცხოვრებაში. ქართული (ზოგჯერ ზედმეტიც კი) სტუმართმოყვარეობა და ერთმორწმუნეობის „როლი“ მტრის მიმღებლობაში; მათგან „გამოწვდილი“ ხელი, და ქართული საქორწინო მაგიდა, უზნეო რუს ჩინოვნიკთაგან შეურაცხყოფილი. აღვირახსნილი ქმედებები; ძალადობის უმძიმესი ფაქტები, მშობლიური ენის აკრძალვა. ერისთვის, ღირსების წართმევის მცდელობები, ის რაც საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. და რაც ასე მძიმე ტვირთად აწვა ქართველ კაცს.

მაშინდელი ყოფა, თემატურადაც და სანახაობითაც კარგადაა წარმოდგენილი სპექტაკლში. გასაოცარ ეფექტებს იძლევა სასცენო დეკორაციები და ყველა ის ტექნიკური შესაძლებლობები, რაც ოზურგეთის განახლებულ თეატრს აქვს. ემოციურია საბრძოლო მოქმედებების, შემდეგ, გამარჯვების სცენა და მოწოდება:. *„ევრაზიის გზაჯვარედინზე, კიდევ ერთი თავისუფლების დროშა გაიშალა. მალე გურიის რესპუბლიკა მაგალითი იქნება მთელი მსოფლიოსთვის.“*

მძიმეა და სევდიანი სპექტაკლის ბოლო სცენა. საკამათოც. ორაზროვანია წამოწეული თემაც.

დასაწყისში, თუ ქალთა მნიშვნელოვანი როლია წამოწეული სოციალურ - პოლიტიკურ სივრცეში. ბოლოს, მოძალადისგან დაორსულებული, შეურაცხყოფილი, უიმედო ქალის, ბედის ბორბალთან ჭიდილშია გამოხატული. ქვეყანა. როგორც ჩანს, რეჟისორმა, ამ სცენით, მაშინდელ ყოფა გამოსახა, მალევე დაკარგული თავისუფლებისა და სახეცვლილი მოძალადის, ქვეყანაში აღმოცენებული, ახალშობილის სახით და ახალი პოლიტიკური ძალის სახელით, კვლავ გაბატონებისა.

მაინც არსებობს იმედის ნაპერწკალი, რადგან ბედის ბორბალი კვლავ დატრიალდა და ფრაზა „თავისუფლება გურიიდან იწყება.“ იმ დროიდან მოყოლებული, ათეულობით წელს გამოჰყვა,

ძალმომრეობასა და თავისუფლებას შორის არსებულ ხიდად.

გავესაუბრეთ ნიკოლოზ საბაშვილს. რომელმაც, ჩვენგან დასმული კითხვებიდან გამომდინარე, სპექტაკლის განხორციელების იდეას, თემატიკას, მუშაობასა და ოზურგეთულ შთაბეჭდილებებზე ისაუბრა.

— მოგესალმებით, გურიასთან დიდი სიყვარული მაკავშირებს, ბავშვობაში ხშირად დავდიოდი გურიაში. მაშინ წავაწყდი თემას ბენია ჩხიკვიშვილის და იმ მოვლენის შესახებ. რამაც, დიდი სიმპათიები გამოიწვია ჩემში. მერე, როდესაც გავიზარდე, მივხვდი, ბევრმა არ იცოდა ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. როგორც კი შემომთავაზა ბატონმა ვასომ, ოზურგეთის თეატრში მემუშავა, პირველი იდეა, რაც წამოვიდა ეს იყო გურიის რესპუბლიკაზე საუბარი. ბატონი ვასოც დამთანხმდა, გადავწყვიტეთ, ასეთი სპეკტაკლის გაკეთება. დაგვაფინანსა კულტურის სამინისტრომ და ხელი შეგვიწყო ჩვენი იდეების განხორციელებაში. დეკემბერში დავიწყეთ მუშაობა და დიდი ხანი არც გვიმუშავია.

— თეატრის მთავარი ფუნქცია, ეს არის დააფიქროს მაყურებელი. თუ ადამიანი ამ ინფორმაციას მოიპოვებს, ძალიან კარგია. ყველა ნაწარმოებში არიან გმირები, ჩვენ გვსურდა მთავარი გმირების, ხალხის გამოჩენა, რომლებიც ამ ბრძოლებში დაიღუპნენ. ისინი არ ჩანდნენ რეალურად, რადგან, ეს იყო გლეხობა.

— მე ვარ აღფრთოვანებული. რადგან ოზურგეთელ მსახიობთა შრომისუნარიანობამ გამაოცა. ყველაზე მეტად მახარებს, რომ მალე დაგბრუნდები აქ. რეჟისორი თამაზ იმნაძე დგამს ჩემს პიესას „ფატი“.

— კარგია, რომ თეატრი გარემონტდა და რეჟისორს შეუძლია მისი სათქმელის თქმა, დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს გააკეთა. მთავარი არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ამ ტექნოლოგიებს შეჩვეულნი, არიან სრული პროფესიონალები და ცდილობენ აითვისონ ყველაფერი. ღმერთმა ხელი მოუმართოს გურიას.

— *როგორ დაინტერესდით ბენია ჩხიკვიშვილით? იყო უამრავი ინფორმაცია და მითქმა-მოთქმა, უნდოდათ ქუჩისთვის მისი სახელის დარქმევა. ხომ არ აპირებთ ამ კაცის ისტორია მეტად წამოწიოთ წინ?*

— რაც კი შეიძლება იყოს პატრიოტული, მით უმეტეს აქცენტი გავაკეთეთ ხალხზე, რომელმაც თავი შესწირა ამ ყველაფერს, დარწმუნებული ვარ ამ თეატრში, ბენია ჩხიკვიშვილიც გაცოცხლდება და ვასო ჩიგოგიძე ისეთ რეპერტუარს ააწყობს, ყველა იხილავს ამ საოცრებებს.

**ნინო ნიკოლაიშვილი.**

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +2+9 | ღრუბელი +1+10 | მზე, ღრუბელი +4+10 | ძლიერი წვიმა +4+11 | წვიმა +3+12 | წვიმა, +4+9 | წვიმა, თოვლით +4+11 |
| 14 თებერვალი ორშაბათი | 15 თებერვალი სამშაბათი | 16 თებერვალი ოთხშაბათი | 17 თებერვალი ხუთშაბათი | 18 თებერვალი პარასკევი | 19 თებერვალი შაბათი | 20 თებერვალი კვირა |